თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2015 წლის 9 ივლისის სხდომის ოქმი #7

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 25, სტუდენტები – 6, სულ –31 წევრი.

დღის წესრიგი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის დანართისთვის სავალდებულო მონაცემების-ხარისხი/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება.

   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/

2. საგანმანათლებლო პროგრამებში 2015-2016 სასწავლო წლიდან დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

3. ხარისხის კორექტირების შესახებ კავკასიის ბიზნეს სკოლის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის.

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების დასახელების შესახებ.

   /ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

5. მიმდინარე საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

აზრი გამოთქვეს: დეკანის მოადგილემ, ქ-მა მ. ჩავლეიშვილმა - მან აღნიშნა, რომ პირველი საკითხი დაზუსტებას მოითხოვდა, ამიტომ მან ითხოვა ამ საკითხის მოხსნა დღის წესრიგიდან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი- მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გუშინ მიიღო წერილი, სადაც ითხოვენ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებას. მან ითხოვა ამ საკითხის დღის წესრიგში დამატება.

შესაბამისად დღის წესრიგში შევიდა აღნიშნული ცვლილებები:

1. *დღის წესრიგიდან ამოღებულ იქნა პირველი საკითხი;*
2. *დღის წესრიგს დაემატა ერთი საკითხი: კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ*

სხდომის თვმჯდომარემ, დეკანა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 31
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 9 ივლისის #7 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: საგანმანათლებლო პროგრამებში 2015-2016 სასწავლო წლიდან დაგეგმილი ცვლილებების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს დაეგზავნათ ინფორმაცია სავარაუდო ცვლილებების შესახებ. ყველა მოდულში შევიდა ცვლილება არამარტო საკონტაქტო საათებისა, არამედ ზოგიერთ საგანში დაზუსტდა ლიტერატურა, ზოგიერთში შემოვიდა სილაბუსი.

I. **ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა 2015-19 სასწავლო წწ.** განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის მოდულის საგნებში, გარდა ,,სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკისა", სააუდიტორიო დატვირთვა შეიცვალა (1+2)-ით (ერთი ლექცია+ 2 სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა), ნაცვლად (1+1)-სა;
2. სასწავლო კურსის ,,სახელმწიფო შესყიდვების ადმინისტრირება (პრაქტიკული კურსი) სახელწოდება შეიცვალა ასეთი სახით: ,,სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა";
3. სასწავლო კურსის ,,საერთაშორისო კონკურეციული უპირატესობის მიღწევის პოლიტიკა" წინაპირობად განისაზღვრა ,,მაკროეკონომიკის პრინციპები", ნაცვლად ,,მიკროეკონომიკა 1"-სა;
4. სასწავლო კურსის ,,სოციალური პოლიტიკის" სილაბუსი წარმოდგენილია ეკონომიკის დოქტორ მზია შელიას ავტორობით (ნაცვლად პროფ. მირიან ტუხაშვილი და ეკ. დოქტ. მზია შელია);
5. სასწავლო კურსის ,, მათემატიკა - II"-ის სილაბუსი წარმოდგენილია ასოც. პროფ აკაკი არსენაშვილის ავტორობით (ნაცვლად ასოც. პროფ. აკაკი არსენაშვილი და ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი თამაზ ზერეკიძე);
6. სასწავლო კურსის ,, თამაშთა თეორია ეკონომისტებისათვის" სილაბუსი წარმოდგენილია პროფ. იური ანანიაშვილთან ერთად ასოც. პროფ. მერაბ ჯულაყიძის თანაავტორობით;
7. სასწავლო კურსის ,,საერთაშორისო სტატისტიკა" წარმოდგენილია პროფ სიმონ გელაშვილის ავტორობით (ნაცვლად პროფ. სიმონ გელაშვილი და პროფ. ქეთევან მარშავა);
8. სასწავლო კურსის ,,მსოფლიო ეკონომიკის" სილაბუსი წარმოდგენილია ასევე, ასოც. პროფ. თამაზ ზუბიაშვილის ავტორობით (არსებული სილაბუსია ასოც.პროფ. ნინო პაპაჩაშვილისა და ასოც.პროფ. ეკა ლეკაშვილის ავტორობით);
9. სასწავლო კურსის ,,შრომის ანაზღაურება" სილაბუსი წარმოდგენილია ასოც.პროფ. მურმან ცარციძისა და ეკ. დოქტ. ნათელა ლაცაბიძის თანაავტორობით (ნაცვლად ასოც.პროფ. მურმან ცარციძისა);
10. მიმდინარე ცვლილებები: ზოგიერთ სილაბუსში განახლდა ძირითადი ლიტერატურა (ეცნობება ბიბლიოთეკას) და შესაბამისად დაზუსტდა თემატიკა.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ქ. მარშავამ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ა. სილაგაძემ, პროფ. თ. ბერიძემ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები. გადაწყდა ცვლელებების განხორციელება შემდეგი შესწორებების გათვალისწინებით ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის შემდეგ პუნქტებში:

პუნქტი 5: - ჩასწორდეს სასწავლო კურსის ,,მათემატიკა - II"-ის სილაბუსის ავტორები - ასოც. პროფ. აკაკი არსენაშვილი და ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი თამაზ ზერეკიძე;

პუნქტი 7: - ჩასწორდეს სასწავლო კურსის ,,საერთაშორისო სტატისტიკა" ავტორები - პროფ სიმონ გელაშვილი და პროფ. ქეთევან მარშავა;

პუნქტი 10. მიმდინარე ცვლილებები: ზოგიერთ სილაბუსში განახლდა ძირითადი ლიტერატურა (ეცნობება ბიბლიოთეკას) და შესაბამისად დაზუსტდა თემატიკა. - დაემატოს ,,ეკონომიკური პოლიტიკა 1“ და ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“ -ში განახლდა ლიტერატურა.

II. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების ყველა სასწავლო წლის საბაკალავრო პროგრამის მენეჯმენტის და მარკეტინგის მოდულების სასწავლო კურსებში შეიცვალა საკონტაქტო საათები (1 სთ. ლექცია და 1სთ. სემინარის ნაცვლად საკონტაქტო საათები განისაზღვრა 1 სთ. ლექცია და 2 სთ სემინარი)

III. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

2015-2017 წწ. და 2014-2016 წწ. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის „მენეჯმენტის“ მოდულში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

ა) სასწავლო კურსი „სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა“ (ავტორი დ. ნარმანია, მე-2 სემესტრი, ამოღებულია 2015-2017 წწ. პროგრამიდან)

ბ)სასწავლო კურსს „ბიზნესის სამართლებრივ-ეკონომიკური რეგულირება“ 2015-2017 წწ. პროგრამაში შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო (ავტორი დ. ნარმანია, მე-2 სემესტრი)

გ) ახალი სასწავლო კურსი „დროის მენეჯმენტი“ ჩართულია 2015-2017 წწ. პროგრამაში (არჩევითი სტატუსით, მე-2 სემესტრი).

დ) სასწავლო კურსს „ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტი“ შეეცვალა სახელწოდება და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „ტექნოლოგიური და ოპერაციული მენეჯმენტი,“ (მე-3 სემესტრი, ავტორი ე.ჩოხელი) . ასევე, შეეცვალა სტატუსი და გახდა სავალდებულო 2015-2017 წწ. და 2014-2016 წწ. პროგრამებში;

ე) სასწავლო კურსს „საინვესტიციო პროექტების მართვა“ 2014-2016 წწ და 2015-2017 წწ. პროგრამებში შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი, (ავტ. მოწვ. პროფ. გ. წიკლაური, მე-3 სემესტრი).

IV. ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამები

ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამებში არჩევით საგნებს დაემატა სასწავლო კურსი „მეცნიერების კომერციალიზაცია“ (ავტ. ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ი. მასურაშვილი).

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა საგანმანათლებლო პროგრამებში 2015-2016 სასწავლო წლიდან დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების საკითხი აღნიშნული შესწორებების გათვალისწინებით.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 31
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დაამტკიცეს საგანმანათლებლო პროგრამები 2015-2016 სასწავლო წლიდან წარმოდგენილი ცვლილებები გათვალისწინებით (იხ. დანართი).

მოისმინეს: ხარისხის კორექტირების შესახებ კავკასიის ბიზნეს სკოლის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, ქ-ნ. ი. მშვენიერაძის წერილი 3855/29, 07. 07, 2015, სადაც აღნიშნულია, რომ ეკა ურეკაძე 2003-2004 სასწავლო წელს ჩაირიცხა კავკასიის ბიზნესის სკოლის არასაბიუჯეტო სექტორის დღის სწავლების მენეჯმეტის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №2322/05, 27.10.2003). 2006-2007 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან გადაყვანილი იქნა კავკასიის ბიზნესის სკოლის მარკეტინგის სპეციალობის IV კურსზე (ბრძანება №517/01-04, 04.06.2007).

2007 წლის 20 სექტემბრის საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით კავკასიის ბიზნესის სკოლის მარკეტინგის სპეციალობის კურსდამთავრებულ ეკა ურეკაძეს მიენიჭა ,,ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.

კავკასიის ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის კურსდამთავრებულთათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 3 დეკემბრის №1563/01-04 ბრძანებით მარკეტინგის სპეციალობის სტუდენტს ეკა ურეკაძეს მიენიჭა ,,*ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი* (ბრძანება №1563/01-04, 03.12.2007).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 8 თებერვლის №104/01-04 ბრძანებით ცვლილება შევიდა უნივერსიტეტის რექტორის 2007 წლის 3 დეკემბრის №1563/01-04 ბრძანების პირველ პუნქტში, მისანიჭებელ ხარისხში დაშვებული შეცდომის გამო და ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიეთითა ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბრძანება №104/01-04, 08.02.2013). აღნიშნული კორექტირების საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანება.

ქალბატონმა ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი კავკასიის ბიზნესის სკოლის 2007 წლის კურსდამთავრებულ ეკა ურეკაძის ,,ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ შეცვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, თსუ რექტორის #104/01-04, 08.02.2013 ბრძანების შესაბამისად შესწორდეს კავკასიის ბიზნეს სკოლის 2007 წლის 20 სექტემბრის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილება (ოქმი #20/07, 20.09.2007) და ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“ მიენიჭოს “ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ა. სილაგაძემ, პროფ. თ.შენგელიამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. განხორციელდეს ცვლილება კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში (#20/07, 20.09.2007) და ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“ მიენიჭოს “ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.
2. აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს კავკასიის ბიზნესის სკოლის საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმში (#20/07, 20.09.2007) მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

მოისმინეს: კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქალბატონ ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, ქ-ნ. ი. მშვენიერაძის წერილი #3868/29; 08.07. 2015, სადაც აღნიშნულია, რომ 2003-2004 სასწავლო წელს მისაღები გამოცდების საფუძველზე დავით როლანდის ძე მალანია ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის I კურსზე (ბრძანება №01/04-39, 10.08.2003 წ.).

ეკონომიკის ფაკულტეტის ფასიანი განყოფილების დაუსწრებელი სწავლების წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის სტუდენტი დ. მალანია 2004-2005 სასწავლო წელს გადაყვანილი იქნა I კურსიდან II კურსზე (ბრძანება №01/12 0192-02, 26.10.2004 წ.); 2005-2006 სასწავლო წელს II კურსიდან III კურსზე (ბრძანება №04/02-14/0283-02, 30.12.2005 წ.); 2006-2007 სასწავლო წელს - III კურსიდან IV კურსზე (ბრძანება №01/01-14/0006-02, 31.01.2007 წ.) და 2006-2007 სასწავლო წელს - IV კურსიდან V კურსზე (ბრძანება №01/01-14 0080-02, 13.07.2007 წ.), სადაც სწავლა გააგრძელა ზაფხულის სემესტრში.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით 2008 წლის გამოშვების მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით მალანიას ***მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით*** *(სოხუმის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმი №4, 12.06.2008).*

საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით მალანიას მიენიჭა ***ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით*** *(ბრძანება №01-01-14 0116-02, 27.06.2008).*

2008 წლის 31 ივლისის №04/01 14 0134-02 ბრძანებით გაუქმებულ იქნა 2008 წლის 27 ივნისის ბრძანება №01/01-14 00116-02 ტექნიკური შეცდომის გასწორების მიზნით (ბრძანება №04/01 14 0134-02, 31.07.2008).

ქალბატონმა ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი თსუ ყოფილი სოხუმის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულ დავით მალანიას „ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ კოექტირებასთან დაკავშირებით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად. ქალბატონმა ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი დავით მალანიას ***მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნაცვლად ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით*** *(ბრძანება №01-01-14 0116-02, 27.06.2008).*

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ა. სილაგაძემ, პროფ. თ.შენგელიამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: თსუ ყოფილი სოხუმის ფილიალის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის სხდომის გადაწყვეტილებით 2008 წლის გამოშვების ,,მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის“ სპეციალობის კურსდამთავრებულ დავით მალანიას „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭების შესახებ.
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქალბატონ ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის, ქ-ნ. ი. მშვენიერაძის წერილი #3870/29; 08.07. 2015, რითიც ის ითხოვს შუამდგომლობას ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა ,,ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის“ კურსდამთავრებულს თამარ ბარბაქაძეს მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი (დიპლომი წარჩინებით).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: მიენიჭოს ,,ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის“ კურსდამთავრებულს თამარ ბარბაქაძეს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი (დიპლომი წარჩინებით).

მოისმინეს: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების დასახელების შესახებ.

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, საბჭოს თავმჯდომარემ პროფ. თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ დღეს საბჭოს სხდომაზე უნდა მოხდეს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კანდიდატურის დასახელება და მან აღნიშნულ თანამდებობაზე კანდიდატურად დაასახელა პროფ. ეთერ ხარაიშვილი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. სილაგაძემ, პროფ. ქ. მარშავამ

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე